АС%С2%Ⴀ, чеЯк, ея Ⴀн2, ген/ я , г! Ⴀо2я вед3? Зюя ! Ⴀья к=кя вя С=2%Ⴀенезе,я 2=кя , я вя %Ⴀценкея ч3вЯႠв, 2ельн%ႠႠ, якяц, 2%ႠႠ=2, чеЯк, м, я С еС! =2=м, я К%Ⴀьн/ эяя u k k э0 ельюя! Ⴀ=К2/ я являл%Ⴀья в/ явлен, еяв%Ⴀм%Ⴀкн%ႠЛяк%Ⴀ! еляц, , я межд3я экЯС еЯЯ, еЛя CD95/Fas/АрофႠႠ Ⴀн2, ген=я, я 2ечен, емя u k k э1 е2%ႠႠмяС %2%Ⴀн%ႠЛяц, 2%Ⴀме2! , , я ЯСец, ф, чеЯк, м, я Ⴀн2, фя CD95ям/ ш, н/ м, я Ⴀн2, ген=м, я С %ႠႠ, л%Ⴀья , зме! ен, ея 24фႠ=Ⴀ%Ⴀ%Ⴀ ЯС%Ⴀн2=нн%Ⴀ%Ⴀ =С%ႠС2%Ⴀ=я Се! , фе! , чеЯк, эя л, мф%ႠႠ, 2%Ⴀвя 26я К%Ⴀьн/ эяя k k явяв%Ⴀ! ႠႠеяႠ2я45яд%Ⴀ80яле2эп КႠ =яяв/ ж, в=Ⴀм%ႠႠья(n b)я CD95фнег=2, вн/ эяя(25%)я К/ л=я! =вн=я 62,5%,я=я С , я С%ႠႠ%Ⴀ, 2ельн%ႠЛя экЯС еЯЯ , я Ⴀн2, ген=я я фя 85%эо ! , я Ⴀн=1, зя n b явя %Ⴀдельн/ эяя RaiяС %Ⴀн%ႠႠ, чеЯк, эя! 3СС=эя%Ⴀ=Ⴀ=1%Ⴀ,яч2%Ⴀвяг! 3ССеяв/ Я%Ⴀ%Ⴀ%Ⴀ! , Як=яС , я CD95(ф)я n b яя! =внял=Ⴀья 56,5%,я=я С , я CD95(+)я фя 100%,яяэႠ2явяг! 3ССеяС %Ⴀмеж32%Ⴀн%Ⴀ%Ⴀ! , Як=я 2=к%Ⴀея ! =л, ч, еянеян=Кпуд=1%Ⴀья(100%явя%Ⴀе, эяС%ႠႠ! 3СС=э)эо %Ⴀ3ченн/ еяд=нн/ еяႠႠ, де2ельႠႠв3ю2я%Ⴀ 2%Ⴀ,я ч2%Ⴀя С , я u k k я С%Ⴀ, 2, вн=яя экЯС еЯЯ, яя CD95я Ⴀн2, ген=я явяле2Яя КႠ=ф%ႠС , я 2н/ мя С %Ⴀн%ႠႠ, чеЯк, мяф=к2%Ⴀ%Ⴀмяк=кяЯ=ႠႠ%ႠႠ2ельн%ႠႠ=кя, явяႠႠႠႠ, =ц, , яႠႠRaiяк! , 2е! , ям, эя

THE PROGNOSTIC SIGNIFICANCE OF APOPTOSIS-RELATED CD95 ANTIGEN EXPRESSION IN PATIENTS WITH CHRONIC LYMPHOCYTIC LEUKEMIA

**M. ZODELAVA, M. VASHAKMADZE,
I. DATIKASHVILI-DAVID**

Apoptosis-related proteins might play an important role in pathogenesis as well as in estimation of sensibility to the chemotherapeutic drugs in patients with Chronic Lymphocytic Leukemia. In the study the authors tried to find out the relation between the expression of CD95/Fas/Apo-1 antigen and clinical outcome of CLL. 24-hour spontaneous apoptosis of peripheral lymphocytes on flow cytometer using specific monoclonal anti-CD95 mouse antibodies in 26 patients aged 45-80 years was measured. Fas expression proved to be a significant prognostic factor in predicting overall survival (OS) because in CD95 “-“ (<25%) pts. OS was 62,5% vs. CD95”+” – 85%. After grouping pts. by Rai risk groups in intermediate risk-group there was no difference in Fas negative and positive cases OS (100% both), although in high risk-group the OS values differed according to the CD95 expression 56% vs. 100%. So, Apo-1 positive expression appears to be predictive of good overall survival as an independent prognostic parameter, as in association with Rai risk-groups.

ლიტერატურა:

kh Te PATr PA:

1. Astar Winoto – Cell death in the regulation of immune responses *Current Opinion in Immunology* 1997, 9:365-370.

2. S. Stilgenbauer and H. Dohner – Campath-1H-Induced Complete Remission of Chronic Lymphocytic Leukemia despite p53 Gene Mutation and Resistance to Chemotherapy“ *N. Engl. J. Med.*, August 8, 2002; 347(6): 452 - 453.

3. Lin K., Sherrington P. D., Dennis M. et al. – Relationship between p53 dysfunction, CD38 expression, and IgVH mutation in chronic lymphocytic leukemia *Blood*, August 15, 2002; 100(4): 1404 - 1409.

4. Oscier D.G., Gardiner A.C. et al. – Multivariate analysis of prognostic factors in CLL: clinical stage, IGVH gene mutational status, and loss or mutation of the p53 gene are independent prognostic factors *Blood*, August 15, 2002; 100(4): 1177 - 1184.

5. Peter H Krammer, Iris Behrmann et al. – Regulation of apoptosis in the immune system *Current Opinion in Immunology* 1994, 6:279-289.

პროფილაქტიკური მედიცინა

**იოდოგებული და ვიტამინოგებული
ჩაის პროფილაქტიკური მოქმედება
იოდოგებული და ვიტამინოგებული**

**6. ზანტუშია, მელ.მეცნ.კანდ. ნ. ფილია,
ბიოლ.მეცნ.დოქტ. ბ.ბრიბორაშვილი**

**გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**

იოდის უკმარისობის კორექციისათვის ორი აღიარებული მეთოდი არსებობს: ყველაზე გავრცელებული კვების პროდუქტების იოდიზება (მარილი, პური, რძე და ა.შ.) და მედიკამენტების გამოყენება (კალიუმის იოდიდი, ანტისტრუმინი, ლუგოლის ხსნარი, იოდიზებული ზეთი).

საქართველოში ლოკალური იოდდეფიციტის პროფილაქტიკისათვის მიზანშეწონილია იოდის შემცველი იოდიზებული ჩაის გამოყენება. ამ პროდუქტს იოდის უკმარისობის დროს ზოგიერთი უპირატესობა გააჩნია: ჩაის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე შედარებით სტაბილურია. ჩაის მიწოდება შესაძლებელია ყველაზე შორეულ დასახლებულ პუნქტებში. იოდიზებული ჩაის გამოშვება არ მოითხოვს წარმოების გადაწყობას და ფინანსურ ხარჯებს. ჩვენ მიერ შემუშავებული იოდიზებული და ვიტამინიზებული ჩაის „კოლხის“ (პატენტი №442, საქართველო, 1997წ.) ყოველდღიური მოხმარება ადამიანის ორგანიზმისათვის იოდის სადღეღამისო ნორმის მიღებას უზრუნველყოფს. მოხალისეებზე დაკვირვების ჩატარების შედეგად დადგენილია იოდის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ზრდა შარდში იოდიზებული და ვიტამინიზებული ჩაის მოხმარებისას (2).

წინამდებარე სამუშაოს მიზანს შეადგენდა ჩვენ მიერ შემუშავებული იოდიზებული და ვიტამინიზებული ჩაის მოქმედების ეფექტურობის შესწავლა სტუდენტებში იოდდეფიციტური მდგომარეობისას.

გამოკვლევები ჩატარდა ორგანიზებულ კოლექტივში – უნივერსიტეტ „ივერიას“ სამედიცინო ფაკულტეტის 30 სტუდენტის მონაწილეობით. სტუდენტები, ყოველდღიურად, 25 დღის განმავლობაში, დილით და საღამოს (2-ჯერ დღეში), მოიხმარდნენ იოდიზებული ჩაის – „კოლხის“, რომელიც იოდის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. პარალელურად, შევისწავლეთ სტუდენტების ფაქტიური კვება ანკეტური გამოკითხვის მეთოდით (3,4). კვების რაციონის შეფასებას ქიმიური შემადგენლობის მაჩვენებლების შესაბამისი ცხრილების გამოყენებით ვაწარმოებდით (1). მიღებული მონაცემები შევადარეთ სტუდენტებზე ძირითად ნივთიერებებსა და ენერგიაზე მოთხოვნილებების ფიზიოლოგიურ ნორმებს.

პირველადი ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზს ვახორციელებდით კომპიუტერული პროგრამის საშუალებით. ავტომატურ რეჟიმში წარმოებდა რაციონების რაოდენობრივი და თვისობრივი შემადგენლობის გაანგარიშება, ასევე კვების რეჟიმის შეფასება.

დაკვირვების დასაწყისსა და დასასრულში ყველა გამოკვლევულს ორგანიზმის იოდით დაკმაყოფილების ბიოქიმიური შეფასება ჩაუტარდა. შეფასების კრიტერიუმს შარდში იოდის ექსკრეციის დონე წარმოადგენდა (5).

სტუდენტების ფაქტიური კვების შესწავლამ აჩვენა, რომ მათი ენერგეტიკული ღირებულება საშუალოდ 2014,0 კკალორიაა, რაც ფიზიოლოგიური მოთხოვნილების 74,6%-ს შეადგენს. სტუდენტების რაციონში ცილების შემცველობა სადღეღამისო ნორმის 81,5%-ს შეადგენდა. ამასთან, აღინიშნებოდა როგორც მცენარეული, ისე ცხოველური ცილების უკმარისობა. ცხიმებისა და ნახშირწყლების რაოდენობა ასევე დაქვეითებული იყო (შესაბამისად – 79,8 და 68,9%). კვების მითითებულმა თავისებურებამ, რაციონში ძირითადი საკვები ნივთიერებების დისბალანსი განაპირობა: ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შეფარდება შეადგინა 1:0,92:3,4, ნაცვლად რეკომენდებული 1:1:4-ისა. აღინიშნებოდა იოდის უკმარისობაც (44,7% ფიზიოლოგიური ნორმიდან).

სტუდენტების რაციონში ძირითადი საკვები ნივთიერებების არაბალანსებული შემცველობა, ცხოველური ცილების უკმარისობა, მიკრო- და მაკროელემენტების (უპირველეს ყოვლისა იოდის) ნაკლებობა ხელს უწყობს მათ ორგანიზმში იოდდეფიციტური მდგომარეობის განვითარებას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ჩვენ მიერ სტუდენტთა საკვებად, დაკვირვების პერიოდში, პროფილაქტიკური საშუალების სახით გამოყენებულ იყო იოდიზებული და ვიტამინიზებული ჩაი „კოლხი“. დაკვირვების შედეგები წარმოადგენილია ცხრილში.

დაკვირვების დასაწყისში, სტუდენტების შარდის გამოკვლევის შედეგად, სხვადასხვა ხარისხით იოდის დეფიციტი იქნა დადგენილი. ეს უკანასკნელი 30 სტუდენტიდან გამოვლინებული იყო 21-ში (70%), ამასთან, 9-ში (30%) საშუალო სიმძიმის (იოდის ექსკრეციის დონით 4,0-4,5 მკგ%). იოდის ნორმალური ექსკრეცია (10,0 მკგ %-ზე მეტი) აღნიშნულია მხოლოდ 9-სტუდენტში (30%).

როგორც ცხრილიდან ჩანს, იოდიზებული და ვიტამინიზებული ჩაის მოქმედების შედეგად დაკვირვების დასასრულს, საწყის მონაცემებთან შედარებით, იოდის შემცველობა შარდში

მნიშვნელოვნად (1,5-ჯერ) იზრდებოდა და შეადგენდა 12,0 1,25, ნაცვლად 7,8 0,85 მკგ%-ისა. ამასთან, ამ მაჩვენებლის ზრდა ყველა შემთხვევაში, დეფიციტის სიმძიმის საწყის ხასიათზე დამოუკიდებლად აღინიშნებოდა.

ამრიგად, იოდიზებული და ვიტამინიზებული ჩაის მოქმედების ეფექტურობის შესწავლის შედეგები სტუდენტებში იოდის ექსკრეციის სტატისტიკურად სარწმუნო ზრდაზე მიუთითებს. აღნიშნული, მოცემული პროდუქტის იოდდეფიციტური მდგომარეობის კორექციისათვის გამოყენების ეფექტურობაზე მიუთითებს. ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე რეკომენდებულია იოდიზებული და ვიტამინიზებული ჩაის „კოლხის“ გამოყენება სტუდენტთა კვებაში იოდდეფიციტური მდგომარეობისას.

я
**o Pn t h k AKTh Че СКп е я e i CTb h e я n d h gh Pn b Ammn cn я я
b h TAl h mh gh Pn b Ammn cn я Час я Ph я n d d e t h 0 h Tm Ыя я
Cn CTn c mh c u я**

я
я
mЭГЧAmTr Ph c и j Amd э e d эmAr j ям э э h k h c я
d n j Тэа h n k n c эmAr j я эгэс Ph c n PAШb h k h я

я
mh h яЯн, 2= , , я, я, г, ен/ я мэ э э m=2=дзя

я
г я30яЯЗден2%вя, зЗчен=яэффек2, вн%Я, я, ! %нн%я, яв, 2=м, н, з, ! %нн%яч=я, j %э, “я
C , я %деф, ц, 2н/ эяЯЯЯн, яэя

я
р=Ян2н/ еяд=нн/ еяф=к2, чеЯ%яС, 2н, яяС%ж=л, , ян2%эне! ге2, чеЯ=яяденн%ЯЯЯЯЗден2%вя
Я еднемяЯЯЯ=вляе2я20N, 0якк=л, яч2%яЯЯЯ2в2ЯВ3е2я74,6%яф, з, %я, чеЯ%ЛяС! еКн%Я, эр %де! ф
ж=н, еяКелк%вяя! =ц, %н=яЯЗден2%яд%Я, г=л%8N5%я%Ян% м/ , яС , я2%мян=Кюд=лЯянед%Я=2%я
Келк%як=кя =Я, зельн%я%я2=кя, яж, в%дн%я%С % Я%жден, яэ j %и, чеЯВ%ж, ! %вя яблев%и%я2=кже
К/ л%яЯн, жен%я (ЯЯ2в2ЯВенн%я79,8%я, я68,9%)эг к=нн/ ея%ЯЯКенн%Я, яС, 2н, яя%С еделял, я
д, ЯК=л=нЯЯЯн%н/ эяС, ? ев/ эяве? еЯВявя =ц, %н=эя

я
meЯК=л=нЯ ! %нн%яЯде! ж=н, ея%Ян%н/ эяС, ? ев/ эяве? еЯВявя! =ц, %н=, янед%Я=2%яКелк=я
ж, в%дн%я%С % Я%жден, я, я в, 2=м, н%я, я м=к! %я, я м, к! %лемен2%я (С еждея вЯг%я , %и=я
ЯС%ЯЯЯВ3е2я! =в, 2, юяL%деф, ц, 2н/ эяЯЯЯн, Ляб як=чеЯВеяС %ф, л=к2, чеЯ%яЯ едЯВ=яК/ ля
, ЯС%иьз%н=я, %и, ! %нн/ Ля, яв, 2=м, н, з, ! %нн/ Ля=Ля, j %иэ, “э

я
б ян=ч=леян=Кюден, язЯЯЗден2%я%2меч=лЯядеф, ц, 2я, %и=л, чн%ЛяЯеСен, эю %Япедн, ЛяК/ ля
в/ явленя3я2NЯЗден2=я(70%), яС , чёмя3я9я(30%)яЯ еднеЛя2яжеЯ, яЯ3! %нмяякЯ! ец, , я4,0ф, 5я
мкг%эм% м=льн=яякЯ! ец, яяК%иьшеяNямкг%)я2меч=л=ЯЯЯЯЯЗден2%я

я
б як%ицеян=Кюден, ЛяЯде! ж=н, ея, %и=явям%иезн=ч, зельн%я%! %и%яЯЯЯ=в, вянN, 0±N25мкг%, я
C %2, вя7,8±0,85ямкг%, яС , чёмя%ЯЯн=Кюд=лЯянез=в, Я м%и2ян=ч=льн%ЛяЯеСен, ядеф, ц, 2=я

я
резль2=2/ я, зЗчен, яя эффек2, вн%Я, я, %и, ! %нн%я, яв, 2=м, н, з, ! %нн%яч=я, j %иэ, “я
3к=з/ в=ю2я н=я д%Я%е! н%я Звел, чен, ея экЯ! ец, , я, %и=я 3я ЯЗден2%вя , я ЯВ, де2ельЯВ3е2я %я
эффек2, вн%Я, яС , менен, яяд=нн%я%С %и3к2=ядляя% ! ец, , я, %и=я, ц, 2н/ эяЯЯЯн, Л, яч2%я
С%в%иая2я ек%менд%я=2%яЯ=Ляя =ц, %неяС, 2н, яяЯЗден2%яЯн, %и=я, ц, 2н/ мяЯЯЯн, емэя

PROFILACTIC EFFECT OF IODIZED AND VITAMINIZED TEA IN CASE OF IODINE DEFICIENCY

N.CHANTURAIА, N.PILIA, G.GRIGORASHVILI

Efficiency of iodized and vitaminized tea “Kolkhi“ in cases of iodine deficiency in 30 students was studied. Observation of actual nutrition showed, that energetic value among the students makes 2014,0 kkal in average, that makes 74,6% of physiological need. Ration of the students contained 81,5% of daily norm proteins, at the same time deficiency of both, vegetable and animal proteins was observed. The levels of fats and carbohydrates were also lowered (79,8 and 68,9% respectively). These peculiarities caused disbalance of basic nutritional substances in rations. Unbalanced content of basic nutritional substances in rations, deficiency of animal proteins, vitamins, macro- and microelements (first of all iodine) promote the development of iodine deficiency. As a preventive means the iodized and vitaminized tea “Kolkhi“ was used.

In the beginning of the research different levels of iodine deficiency was observed in 21 students (70%), 9(30%) of them had moderate level with 4,0-4,5 mkg% of excretion. Normal excretion (more than 10 mkg%) was observed in 9 students. At the end of observation period iodine level in urine significantly increased and made up 12,0±1,25 mkg%, against 7,8±0,85mkg%, that didn't depend on the initial level of deficiency.

Thus, the study of efficiency of iodized and vitaminized tea "Kolkhi" indicate to statistically reliable increase of iodine excretion in students and confirm successful application of the given product for correction of iodine deficiency. All above mentioned makes it possible to recommend iodized and vitaminized tea "Kolkhi" for application in nutrition of students with iodine deficiency.

ლიტერატურა:

საქართველოს მედიკალური უნივერსიტეტი

ა

1. აბოლაშვილი მ., ნიკოლაძე ს., ზედაძე ი. – თბილისი, 1987, გვ. 37

2. აბოლაშვილი ს., ნიკოლაძე ს., ზედაძე ი. – თბილისი, 1987, გვ. 37

3. აბოლაშვილი ს., ნიკოლაძე ს., ზედაძე ი. – თბილისი, 1987, გვ. 37

4. Achenson E., Gambel J., Edholm G. – The measurement of food and energy intake in men evolution of some techniques. Emer. J. Clin. Nutr., 1980, v.33, p.147-151.

5. Methods for measuring iodine in urine. International council for control of iodine deficiency disorders. World Health Organization. 1993, Printed in Netherlands, 71 P.

თანამედროვე ბიომედიცინის მემორიალი

**მწვავე აპენდიციტის
ლაპაროსკოპიული დიაგნოსტიკა**

**ო. კვიციანი, პროფ. ბ. შიშია,
მედიკალით. დ. აბოლაშვილი, თ. ჩაბუჩავაძე,
მედიკალით. ჯ. შხადადუაძე, პროფ. მ. კილაძე**

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის თორაკოაბდომინური ქირურგიის კათედრა, თბილისის მერიის აკადემიკოს ზ. ცხაკაიას სახელობის თორაკოაბდომინური კლინიკა

შრომის მიზანი. მწვავე აპენდიციტი ყველაზე გავრცელებული მწვავე მუცლის ღრუს ქირურგიული პათოლოგიაა. ამ ფონზე ძალიან ხშირია დიაგნოსტიკური შეცდომები, რის შედეგადაც მატულობს არასაჭირო აპენდექტომიების რიცხვი, ოპერაციის ტრავმატიზმი, ინტრა- და პოსტოპერაციული გართულებები. შრომის მიზანია ლაპაროსკოპიული დიაგნოსტიკის (ლდ) ტექნიკური ასპექტების, ჩვენებებისა და უკუჩვენებების, ეფექტურობის განხილვა მწვავე აპენდიციტის მკურნალობის მეთოდების ოპტიმიზაციისთვის.

მასალა და მეთოდები: შრომის მასალას წარმოადგენს სანკტ-პეტერბურგის (რუსეთი) „Александровский институт“ გადაუღებელ ენდოვიდეოქირურგიულ განყოფილებაში მწვავე აპენდიციტის დიაგნოზით მოთავსებული 332 ავადმყოფი, რომელთაგან 311-ს (93,67%) ჩატარდა ლაპაროსკოპიული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მათ შორის ქალებს 200-ს (64,30%) და კაცებს 111 (35,70%). ყველა მანიპულაცია ჩატარებულ იქნა R.Wolf-ის, Karl Storz-ის, Stryker-ის, Aksioma-ს ფირმების მიერ წარმოებული აპარატურისა და ქირურგიული ინსტრუმენტების გამოყენებით, ზოგადი ენდოტრაქეული, ვენური ნარკოზის ეპიდურალური და ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ.

პირველი თორაკარი მუცლის ღრუში იდგმებოდა ჭიბის ზედა ან ქვედა განაკვეთებიდან პასსონის გამარტივებული მოდიფიკაციით, რაც თავიდან გვაცილებდა მუცლის ღრუს ორმაგ ბრმა პუნქციას. პნევმოპერიტონეუმი მყარდებოდა CO₂-ით 12–14 მმ (6 მმ ადგილობრივი ანესთეზიის

დროს) ვერცხლისწყლის სვეტით. პირველად ტარდება ზოგადი რევიზია, მუცლის ღრუში გამონადენის არსებობის შემთხვევაში მისი მაქსიმალური ასპირაცია, რათა არ მოხდეს ანთებითი ექსუდატის სხვა არეებში გადანაცვლება. შემდგომ ეტაპზე ავადმყოფის გადაყვანა ტრენდელბურგის პოზიციაში და გადაბრუნება მარცხენა გვერდზე, რათა ბუნებრივად მომხდარიყო ნაწლავთა მარყუქების გადმონაცვლება ილეოცეკალური არიდან და მცირე მენჯის ღრუდან. უმეტეს შემთხვევაში სასურველია ჩაიდგას დამატებითი 5 მმ-იანი თროაკარი მარცხენა თქმოს ფოსოს არეში „რბილი“ მანიპულატორის გამოსაყენებლად. დამატებითი იარაღის მოხმარება აადვილებს „დაინტერესებული არის“ უკეთეს ვიზუალიზაციას. პირველ რიგში ფასდება პერიტონეუმის ანთებითი ცვლილებები, გამონადენის რაოდენობა და ხასიათი, შეხორცებების განვითარება და გავრცელება. ამის შემდეგ ხდება მარჯვენა თქმოს ფოსოს არის და მცირე მენჯის ღრუს პრინციპული დათვალიერება. ზოგ შემთხვევაში ავადმყოფის პოზიციის შეცვლა საკმარისია აპენდექსის დასათვალიერებლად (ტიპური მდებარეობისას), მაგრამ საკმაოდ ხშირად საჭირო ხდება მისი გამოთავისუფლება შეხორცებებიდან. ჭიისებრი ნაწლავის დესტრუქციული ცვლილებებისას, მისი დიაგნოსტიკა არ წარმოადგენს დიდ სირთულეს და მაშინვე წყდება აპენდექტომიის საკითხი ლაპაროსკოპიული ან ტრადიციული მეთოდის გამოყენებით.

გადლიერებული სისხლძარღვოვანი სურათი და მცირე გამონადენი არ შეიძლება ჩაითვალოს აპენდექტომიის ჩატარების კრიტერიუმად. აუცილებელია შეფასდეს აპენდიქსის ღრმა შრეების ანთებით-ინფილტრაციული ცვლილებები: ჭიისებრი ნაწლავის შუა ნაწილის იარაღით აწვეით განისაზღვრება მისი რიგიდულობა, აპენდიქსის „ჩამოკიდება“ მიუთითებს მის ღრმა შრეებში ანთებით-ინფილტრაციული ცვლილებების არარსებობას. თუ ეს ვერ ხერხდება შეგვიძლია აპენდექტომიის პალპაციით შევამოწმოთ მისი ელასტიკურობა. თვითონ აპენდიქსის რბილკბილებიანი იარაღის ფრთხილი პალპაციით შევაფასოთ კედლის ელასტიკურობა, ანთებითი ცვლილებებისას შევიგრძნობთ კედლის მომატებულ სიმკვრივეს და ნაკლებელასტიკურობას, აგრეთვე, სუბსეროზულად ჩნდება წვრილი სისხლჩაქცევები, რაც ჩვეულებრივ არ აღინიშნება. ჭიისებრი ნაწლავის ატიპური (რეტროცეკალური, რეტროპერიტონიული) მდებარეობისა და შეხორცებების დროს. როდესაც ვერ ხერხდება მისი ვიზუალიზაცია მნიშვნელოვანია ანთების ირიბი ნიშნები: გაძლიერებული სისხლძარღვოვანი სურათი ილეოცეკალურ არეში, გამონადენის ხასიათი და რაოდენობა, ფიბრინის არსებობა; ბრმა ნაწლავის, აპენდიქსის ფუძის ცვლილებები, კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემები, მუცლის ღრუს ორგანოთა სხვა პათოლოგიის არარსებობა. საექვო შემთხვევაში შესაძლებელია ცეკუმის მობილიზაცია, შეხორცებების და ინფილტრაციის დაშლა დიაგნოზის ვერიფიკაციისთვის, მაგრამ ეს მანიპულაციები უნდა შესრულდეს ენდოვიდეოქირურგიაში მაღალკვალიფიციური და საკმაოდ გამოცდილების მქონე ქირურგის მიერ ან გატარდეს ტრადიციული აპენდექტომიით.

მწვავე აპენდიციტის დიაგნოზის გამორიცხვის შემდგომ, უფრო დაკვირვებით თვალიერდებოდა მუცლის ღრუს, ხოლო ქალებში განსაკუთრებით მცირე მენჯის ორგანოები. სხვა პათოლოგიისას შესაბამისი მკურნალობა ტარდებოდა პროფილირებულ სპეციალისტთა ჩართვით. სხვა პათოლოგიისას ჩარევა შემოიფარგლებოდა მუცლის ღრუს (დუგლასის ფოსოს) დრენირებით, სიმპტომატური მკურნალობითა და შემდგომი დაკვირვებით ერთიდან 2 დღემდე.

შედეგები. მწვავე აპენდიციტის დიაგნოზი ქალებში დაუდასტურდა 93-ს (46,5%). დანარჩენ 107 ავადმყოფზე დიაგნოზი გადანაწილდა შემდეგნაირად: გინეკოლოგიური პათოლოგია 42 (39,25%), მეზადენიტი სეროზული გამონადენით 46 (42,99%), სხვა პათოლოგია 10 (9,35%). პათოლოგია ვერ იქნა ნანახი 8 (7,48%); ერთ (0,93%) შემთხვევაში ინფორმაციული არ იყო. მამაკაცებიდან 72-ს (64,86%) დაუდასტურდა მწვავე აპენდიციტის დიაგნოზი. დარჩენილი 39-დან 15-ს (38,46%) მეზადენიტი, 14-ს (35,90%) სხვა პათოლოგია, 8(20,51%) შემთხვევაში პათოლოგია ვერ იქნა ნანახი, 2 (5,13%) შემთხვევაში ინფორმაციული არ იყო. „სხვა პათოლოგიებში“ ორივე სქესის 24 ავადმყოფისთვის დიაგნოსტირებულია შემდეგი: მწვავე პანკრეატიტი 9 (37,5%), 12-გოჯა ნაწლავის წყლულის მიფარებული პერფორაცია 2 (8,33%), ბადექონის აბსცედირებული ჰემატომა 2 (8,33%); მწვავე ქოლეცისტიტი 4 (16,67%), შეხორცებითი დაავადება ერთი (4,17%); უროლოგიური პათოლოგია 4 (16,67%); მსხვილი ნაწლავის კიბო 2 (8,33%).

ორივე ჯგუფის 165 ავადმყოფს, რომელთაც დაესვათ მწვავე აპენდიციტის დიაგნოზი, ჰისტო-მორფოლოგიური გამოკვლევით დაუდასტურდა 4 (2,42%) (ჰიპერ- და ჰიპოდიაგნოსტიკა) შეცდომა. ამათგან, ერთ შემთხვევაში დადგინდა ქრ. აპენდიციტის დიაგნოზი. შეცდომებს არსებითი გავლენა არ მოუხდენია მკურნალობის ტაქტიკასა და გამოსავალზე.

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ღდ-ის ხანგრძლივობა მერყეობდა 5-დან 30 წუთამდე.

მწვავე ქირურგიული პათოლოგიის გამორიცხვის შემთხვევაში ავადმყოფთა გაწერა განყოფილებიდან მეორე-მესამე დღეს იყო შესაძლებელი.

ინტრაოპერაციული გართულება დიაგნოსტიკების დროს აღინიშნა 3 შემთხვევაში, სისხლდენა ანთებითი ქსოვილებიდან და გათიშული შეხორცებებიდან (2 ავადმყოფი). მათი კორეგირება მოხდა ლაპაროსკოპიულადვე, ზედმეტი ჩარევის გარეშე. ერთ შემთხვევაში აღინიშნა სისხლდენა დამატებითი თროაკარიდან – გაიკერა ვიდეოასისტირებით.

განსჯა. ღღ-ს ჩატარებისთვის არსებობს გარკვეული კრიტერიუმი და ჩვენება: თუ ავადმყოფს შემოსვლის მომენტში არ აღენიშნება პერიტონეუმის გაღიზიანების სიმპტომები ან სუსტადაა გამოხატული, ამასთან დინამიკური დაკვირვების პირველ საათებში მოეხსნება ან მნიშვნელოვნად შეუმცირდება ტკივილზე ჩივილები, ჩვენი აზრით, შესაძლებელია თავი შევიკავოთ ღღ-ს ჩატარებისგან. წინასწარ დიაგნოსტიკებული მუცლის ღრუს აბსცესების დროს ღღ-ის ჩატარება აუცილებლობას არ წარმოადგენს. გულ-სისხლძარღვთა მძიმე პათოლოგიების დროს სასურველია ღღ გატარდეს მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენებების ფონზე, როდესაც სხვა გამოკვლევები მკურნალობის სწორი ტაქტიკის განსაზღვრისთვის არა ეფექტურია. აგრეთვე, გავრცელებული პერიტონიტისა და გადაბერილ ნაწლავთა მარყუქების ფონზე ღღ მცირედ ინფორმატიულია.

მრავალ ავტორთა მონაცემებით, დიაგნოსტიკური შეცდომები მერყეობს 3,4% დან 6,3%-მდე [ბორისოვი, ლევინიკრიგერი, შურკალინი, Heinzelmann-I]. ჩვენს შემთხვევაში შეცდომათა ნაკლები რაოდენობა ქირურგთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების მატებით უნდა აიხსნას. შესადარებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ დიაგნოსტიკური შეცდომები ტრადიციული აპენდექტომიებისთვის, რომელიც საშუალოდ შეადგენს 34-35%-ს (1).

დასკვნა. ჩვენი და სხვა ავტორთა მონაცემების შეჯერებით ნათელია ლაპაროსკოპიის მაღალი დიაგნოსტიკური ღირებულება, რაც საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ არასაჭირო ოპერაციები, დროულად დავსვათ და გავატაროთ დიფერენციული დიაგნოზი, განვსაზღვროთ პათოლოგიის ხასიათი და დავგეგმოთ მკურნალობის ოპტიმალური მეთოდი, შევამციროთ ოპერაციული ტრავმატიზმი და ავადმყოფთა მედიკურ-სოციალური რეაბილიტაციის პერიოდი, რაც საერთო ჯამში მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

კ Ao APn CKn o h Че SKAc яh Ac mn CTh KАя CTPn cn яAo o e md h 0 h TАя

я

я

n ж эKb h 0 h Amh юo pnt эс эб эю h o h с ия

j Amd d e d emAr j яд эГэАа r k Ad ge иГэАэЧАРТn k Amh иј Amd d e d emAr j яд Жэ эи

o uAk Ad ge юo pnt эи эKh k Ad ge я

я

КафедраЯ2оракoаКдоминальноЛяирЗргиягосЗдарс2венноЛямедицинскоЛяакадемиияс рЗииия

ТоракoаКдоминальнаяяклиникая

имэягэю эакаямериияэиГКилисияя

я

я

n C, Ян=я 2eэн, к=я , я 2=к2, к=я л=с=! %ж%с, чеЯк%Ля д, =н%ж, к, я С=ц, ен2%вя Яи Се! в, чн/ мя д, =н%ж%мя %ж! %г%я =ССенд, ц, 2=я о!, веденя !е2! %жСек2, вн/ Ля =н=л, зя !е3зль2=2%вя 332я д, =н%ж, чеЯк, эя л=с=! %ж%с, Ля С=ц, ен2%вя Яи Се! в, чн/ мя д, =н%ж%мя %ж! %г%я =ССенд, ц, 2=я d, =н%ж, чеЯк, еяк!, 2e!, , явключ=л, ям=к! %ж%с, чеЯк, еяд=нн/ еяв/ делен, ЛявяК юшн%ЛяС%и%ж%д, я в%жС=л, 2ельн/ ея, зменен, яяЯенк, яче! ве%ж! =н%г%и%д! %жК=я, яд! эяреззль2=2/ ян=л, з=яС%ж=з=л, ,я ч2%я 3я 46%я С=ц, ен2%вя женЯк%г%я С%и=я , мевш, ея =н=л%г, чн3юя Яи %ж! / мя =ССенд, ц, 2%мя кл, н, чеЯк3юяк=! 2, н3яЯд! =д=л, яд! 3г, м, яв=К%иесв=н, ям, яК юшн%ЛяС%и%ж%д, я, ям=л%г%ж=з=лн Я%дяя , зяэ2%г%яд, =н%ж, чеЯк=яяценн%ж%д%л=с=! %ж%с, , явеЯм=янн=ч, 2ельн=я, ,яС%ямнен, юя=в2% %ж, я ме2%д%ям%жн%иКезя%ж%ж/ эяф, н=н%ж/ эяз=2! =2яЯв%ж%дн%явненд! , 2ьявя%ж? еэ, ! 3! г, чеЯк3юякл, н, к3я, , мею? еЛяэлемен2=! н%ж%еэн, чеЯк%ж%жн=? ен, еядляяС %веден, яял=с=! %ж%с, чеЯк, эяС %иед3! эи

შრომის მიზანი. მწვავე აპენდიციტი გართულებების მაღალი მაჩვენებლით თანამედროვე ქირურგიის აქტუალურ პრობლემად რჩება. შრომის მიზანია ლაპაროსკოპიული აპენდექტომიის ტექნიკური ასპექტების განხილვა ოპერაციის ეტაპების შესრულების ტაქტიკური და ტექნიკური ასპექტების ოპტიმიზაციის, ოპერაციის უსაფრთხოდ ჩატარების, ოპერაციის შემდგომი უახლესი და შორეული შედეგების გაუმჯობესებისა და მეურნალობის თვითღირებულების შემცირების მიზნით.

მასალა და მეთოდები. საკვლევე მასალას წარმოადგენს თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოს აკად. ზ. ცხაკაიას სახელობის თორაკოაბდომინურ კლინიკაში 1999 წლიდან 2004 წლამდე და სანკტ-პეტერბურგის (რუსეთი) „Александр Ковальский“ გადაუდებელ ენდოვიდეოქირურგიულ განყოფილებაში მწვავე აპენდიციტის დიაგნოზით ლაპაროსკოპიულად ოპერირებული 180 ავადმყოფი. ყველა ოპერაცია შესრულდა R.Wolf-ის, Karl Storz-ის, Stryker-ის, Aksioma-ს ფირმების მიერ წარმოებული აპარატურისა და ქირურგიული ინსტრუმენტების გამოყენებით, ენდოტრაქეული და სპინალური ანესთეზიის ქვეშ.

პირველი თროაკარის ჩადგმის ტექნიკა და პნევმოპერიტონიუმის დამყარება ხდებოდა ჰასსონის მეთოდის მოდიფიკაციით 8-დან (ეპიდურული ანესთეზიისას) 14 მმ ვერცხლისწყლის სვეტით. თროაკარების განლაგება პირობითად წარმოდგენილია 2 მეთოდად: 1. თროაკარები (10 მმ მარჯვნივ და 5მმ მარცხნივ) განლაგებულია ორივე თეძოს ფოსოში, უპირატესად ბოქვენის მხარეს, 10 მმ-იანი ვიდეოკამერისთვის ჭიპის არეში. კოსმეტიკური ეფექტის გასაძლიერებლად, შესაძლებელია სამუშაო თროაკარები თმის ზრდის დონეზე ჩაიდგას. 2. მეთოდში ვიდეოკამერის განლაგება იდენტურია, მარცხენა თეძოს ფოსოში და მარჯვენა მეზოგასტრიუმში – 5 მმ-იანი თროაკარები. ორივე მეთოდით უზრუნველყოფილია ჭიხისებრი ნაწლავის სრული ვიზუალიზაცია და ოპერაციული მიდგომა. ჯორჯლისა და ტაკვის მობილიზაცია და გადაკეთა ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებიდან 3 შემთხვევაში მოხდა ENDO-GIA-თი. ეს მეთოდი, მრავალი ავტორის აზრით, ყველაზე უსაფრთხოა, მაგრამ ინსტრუმენტის ერთჯერადობა და მისი მაღალი ღირებულება მნიშვნელოვნად ზრდის აპენდექტომიის ღირებულებას. ერთ შემთხვევაში მოხდა ტაკვის კლიპირება, 11 შემთხვევაში ENDO-LOOP-ის მეშვეობით. ჩვენ მიერ მოყვანილ 165 შემთხვევაში გამოყენებულია ტაკვის ლიგირების მეთოდი. ყველა ამ შემთხვევაში ჯორჯლის დამუშავება განხორციელდა მონო- და ბიპოლარული კოაგულაციით, არტერიის დამატებითი კლიპირებით. გადაუდებელ ენდოვიდეო ქირურგიულ განყოფილებაში მოყვანილი მაგალითებიდან ყველა შემთხვევაში ტაკვის ლიგირება ხდებოდა ინტრაკორპორული კვანძის გამოყენებით. ასევე შესაძლებელია ჯორჯლის ლიგირება (40 ავადმყოფი) ან ჯორჯლის ბი- და მონოპოლარული კოაგულაციით დამუშავება. 5 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ექსტრა- და ინტრაკორპორული კვანძების შერწყმით რედერის მარყუჟის მოდიფიკაცია. ორივე მანიპულაციის საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატება ერთ წუთს, მათი გამოყენება დამოკიდებულია ქირურგის არჩევანზე. ამავე დროს, სასურველია ტაკვის „ჩაყურსვა“ ბრმანაწლავსა და პერიტონიუმის პარიესულ ფურცელს შორის, რაც უზრუნველყოფს ლოკალური შეხორცების განვითარებას და თავიდან გვაცილებს ტაკვთან მუცლის ღრუს ორგანოების შეხორცებას. როგორც წესი, აპენდიქსის გადაკეთა (კვანძიდან არა უშორეს 5 მმ და არა უახლოეს 3 მმ) ხორციელდებოდა მაკრატლით და ლორწოვანი მუშავდებოდა კოაგულაციით, ალტერნატიულად შესაძლებელია ტაკვის იოდით დამუშავება. ტაკვის კოაგულაციით დამუშავებისას, არ უნდა მოხდეს მისი ჰიპერკოაგულაცია („დაწვა“), რამაც შეიძლება კვანძის მოძრობა გამოიწვიოს (ინტრაოპერაციულად, უკეთეს შემთხვევაში, ან პოსტოპერაციულად), რაც მძიმე გართულებების მიზეზი შეიძლება გახდეს. ანტეგრადული აპენდექტომიების ინტრაკორპორული კვანძებით შესრულებისას, არც ერთ შემთხვევაში ჭიხისებრი ნაწლავის დისტალურ ნაწილზე მეორე კვანძი არ იქნა დადებული. იგი გადაკეთისთანავე თავსდებოდა კონტეინერში, რასაც საოპერაციო არის დაბინძურება მინიმუმამდე დაჰყავდა. მეორე კვანძის დადება გამოიყენებოდა რეტროგრადული აპენდექტომიების შესრულების დროს.

პირველ მეთოდში კონტეინერის გამოტანა ხორციელდებოდა მარჯვენა თეძოს ფოსოს არიდან 10 მმ-იანი თროაკარის გამოყენებით ან ჭრილობის მცირედ გაფართოებით. მეორე მეთოდისას, მარცხენა თეძოს ფოსოს არედან 5 მმ-იანი თროაკარის ჭრილობის გაფართოებით. სანაცია სრულდებოდა მხოლოდ დესტრუქციული აპენდიციტების დროს მნიშვნელოვანი ჩირქოვანი გამონადენისას. ყველა სხვა შემთხვევაში სითხის ასპირაცია საკმარისად იყო მიჩნეული, სანაციის დროს ინფიცირებული გამონადენის მუცლის ღრუს სხვა არეებში გაუვრცელებლობის თვალსაზრისით. მცირე რაოდენობის სითხის ასპირაციისთვის ელექტროსაქაჩი არ გამოიყენებოდა, პნევმოპერიტონიუმი უზრუნველყოფდა დრენაჟიდან სითხის აქტიურ თვითღინებას, ეს მანიპულაცია ხორციელდებოდა ვიდეოკონტროლითა და დრენაჟის მიზანმიმართული გადაადგილებით.

შედეგები. ლაპაროსკოპიული დიაგნოსტიკით (ლდ) მწვავე აპენდიციტის დიაგნოზის დადასტურების შემდეგ, ლაპაროსკოპიულად გაკეთებულია 175 აპენდექტომია. მათ შორის კატარული აპენდიციტის დიაგნოზით 3 (1.71%), ფლეგმონური – ადგილობრივი პერიტონიტის გარეშე 78 (44.57%), ადგილობრივი პერიტონიტით 69 (39.42%), განგრენოზულით – 14 (8%),

განგრენოზულ-პერფორაციული ფორმით – 4 (2,29%). დესტრუქციული ფორმების გარკვეულ ნაწილში 116 (67,05%) აღინიშნებოდა რბილი ინფილტრაცია ან შესორცებები, რომელთა კორეგირება შესაძლებელი იყო ლაპაროსკოპიული მეთოდით. 4 (2,29%) ლაპაროსკოპიული აპენდიციტის (ლაპ) დროს მოხდა კონვერსია ტრადიციულ მეთოდზე სისხლდენის, მუცლის ღრუს ორგანოების დაზიანების (ელექტროდამწვრობა, სხვა მექანიკური დაზიანება), ტექნიკური სირთულეების გამო. საერთო ჯამში, ლაპაროსკოპიული აპენდექტომია მწვავე აპენდიციტის გამო, შესრულებულ იქნა 164 (93,71%); მათ შორის 6 (3,66%) ავადმყოფს აპენდექტომიასთან ერთად, ჩატარდა გინეკოლოგიური ოპერაციები.

ლდ-ს შედეგად 7 (4%) ავადმყოფს ჩატარდა ტრადიციული აპენდექტომია, ამ შემთხვევებში საზარდულის თიაქრის ტრანსაბდომინალური პლასტიკის ძირითად ჩვენებებად ჩაითვალა ილეოცეკალურ არეში მრავლობითი შესორცებების და ინფილტრაციის არსებობა, აპენდიქსის მდებარეობა (რეტროპერიტონიული, რეტროცეკალური, ინტრამურალური), მკვრივი აპენდიკულური ინფილტრატები, აპენდიკულური და პარააპენდიკულური აბსცესები, დესტრუქციული აპენდიციტი პერფორაციით, ფუძესთან დიფუზური ჩირქოვანი პერიტონიტი. აპენდექტომიათა აბსოლიტური უმრავლესობა ჩატარდა მაკბურნეის განაკვეთით, ზოგ შემთხვევაში ლაპაროსკოპიული ასისტირებით, მუცლის ღრუს სანაცია-ირიგაციისა და დრენირების უკეთესი შესაძლებლობების გამო.

5 ავადმყოფზე ჩატარდა ლაპაროსკოპიული აპენდექტომია (ლაპ) როგორც სიმულტანური ოპერაცია, დამატებითი თროაკარების გამოყენების გარეშე (ქოლეცისტექტომია 4; TAAP-I 1), ყველა შემთხვევაში დიაგნოზი იყო ქრონიკული აპენდიციტი. ოპერაცია განპირობებული იყო ავადმყოფის სურვილით და ხშირი ტკივილებით ილეოცეკალურ არეში. ლაპ-ისას ინტრაოპერაციული გართულებებიდან ორ შემთხვევაში აღინიშნა ნაწლავთა თერმული დაზიანება, ერთ შემთხვევაში – წვრილი ნაწლავის ტრავმული უხეში დაზიანება კონტეინერის ევაკუაციის დროს. ჭისებრი ნაწლავის პერფორაცია მისი მობილიზაციისას აღინიშნა 4 შემთხვევაში, ინტრაოპერაციული სისხლდენა – 2 შემთხვევაში. ინტრაოპერაციული გართულებების საერთო რაოდენობა შეადგენს 5,49%-ს.

მოსალოდნელ ინტრაოპერაციულ გართულებებს შეგვიძლია მივცეთ შემდეგი კლასიფიკაციის სახე:

1. ნაწლავის კედლის დაზიანება:
 - ა) თერმული დაზიანება,
 - ბ) პერფორაცია იარაღის წვერით,
 - გ) კბილიანი იარაღით უხეში ნაფლეთოვანი დაზიანება.
2. სისხლდენა:
 - ა) აპენდიქსის ჯორჯლიდან,
 - ბ) ანთებითი ინფილტრირებული ქსოვილებიდან,
 - გ) პერიტონიუმის კედლიდან.
3. ჭისებრი ნაწლავის ფრაგმენტაცია;
4. ჭისებრი ნაწლავის მოწყვეტა ფუძიდან;
5. ტაკვის ჰიპერკოაგულაცია;
6. ინფექციის მოთესვა მთელ მუცლის ღრუში.

საერთო ფონზე საკმაოდ საინტერესოა 15 ავადმყოფზე ჩატარებული დაკვირვება. ყველა მათგანს ერთიდან 6 წლამდე ინტერვალში ჩატარდა ლაპაროტომია. ჩვენი დაკვირვების პერიოდში, იმავე განყოფილებაში, მათ გაუკეთდათ განმეორებითი ლაპაროსკოპიული ოპერაცია სხვა დიაგნოზების (ქრონიკული და მწვავე კალკულოზური ქოლეცისტიტი – 14, საზარდულის თიაქარი – ერთი). პოსტოპერაციულ შესორცებებს პირობითად შეიძლება მივცეთ შემდეგი კლასიფიკაცია:

1. ლოკალური – ბრმანაწლავსა და პერიტონიუმის პარიესულ ფურცელს შორის (მოიცავდა მხოლოდ ტაკვის არეს).
2. ადგილობრივი: I ხარისხის – ბრმანაწლავსა და მუცლის ღრუს ერთ ორგანოს შორის. არ სცილდება მარჯვენა თემოს ფოსოს არეს;
II ხარისხის – ბრმანაწლავსა და მუცლის ღრუს ერთ ან ორ (მცირე მენჯის) ორგანოს შორის პერიტონიუმის პარიესულ ფურცელთან ერთად.
3. ტოტალური: I ხარისხის – მოიცავს მთელი მუცლის ღრუს ქვედა ნახევარს,
II ხარისხის – მოიცავს მთელ მუცლის ღრუს.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ლოკალურში განთავსდა 9 ავადმყოფი, ადგილობრივის I ხარისხში – 5, II ხარისხში – ერთი ავადმყოფი. თუ ამ პირობითი კლასიფიკაციით განვსჯით, შორეული შედეგებით პოსტოპერაციულ არეში განვითარებული შესორცებები ფრიად მცირეა.

ოპერაციების საშუალო ხანგრძლივობამ ლაპაროსკოპიული აპენდექტომიისთვის შეადგინა 45 წუთი, მკურნალობის საშუალო ხანგრძლივობამ 2,5 – 3 საწოლდღე.

მრავალი უცხოელი ავტორი გვთავაზობს აპენდიციტის ექსტრაპერიტონიულ მეთოდს, როდესაც აპენდიქსის და ცეკუმის გამოტანა მუცლის ღრუდან ხდება 12 მმ-იანი თროაკარის ან მინილაპაროტომიული ჭრილობიდან. ეს მეთოდი მიმართულია აპენდექტომიის გასაიაფებლად. ზოგი ავტორი 2 თროაკარით ოპერაციის შესრულების შესაძლებლობასაც აღნიშნავს, მაგრამ ეს მეთოდი განსაკუთრებით შეზღუდულია ფიქსირებული ცეკუმისა და შეხორცებების შემთხვევაში. ასევე ვიდეოასისტირებით შესრულებული აპენდექტომიებისას იკარგება ის ეფექტი, რაც ზოგადად ლაპაროსკოპიული ოპერაციებისთვისაა დამახასიათებელი.

დასკვნა. ჩვენი აზრით, მოწოდებული ტექნიკური და ტექნიკური ასპექტების გათვალისწინებით, მეთოდი შეიძლება ზოგადქირურგიულ კლინიკაში დიდი ფინანსური დანახარჯების გარეშე დაინერგოს, სადაც უკვე არსებობს ლაპაროსკოპიული ქირურგიის თუნდაც შედარებით მცირე გამოცდილება და ელემენტარული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

Te umh Че СКh е ЯСо е КТЫЖ Ao APn СКn o h Че СКn i яd h Acmn CTh Kh я n CTRn cn яAo o e md h 0 h ТАя

я
я
o pnt эсэбэо h o h с ян жэжб h 0 h Амh ия
j Амdд edэмAr j ядЭгэАаr k Ad ge ию pnt э я жh k Ad ge я
ТээЧАРТn k Амh ия j Амdд edэмAr j яд Жээ эю u Ak Ad ge я

КафедраЯ2оракoаКдоминальноЛяирЗргийягосЗдарс2венноЛямедицинскоЛяакадемиияс рЗзииия ТоракоаКдоминальнаяяклиникаямэягэю эакаяямериияэГКилисия

я
я
о ! , веденя е2! %ЯСек2, вн/ ЛяҺн=1, зя ез3ль2=2%вялечен, яя32яС=ц, ен2%вяЯСе! в, чн/ мяд, =тн%%мя %Я! %а%я=ССенд, ц, 2=,яС%двe! гш, эЯял=С=! %Ж%С, чеЖ%м3яме2%д3яд, =тн%Я, к, я, ялечен, явяя2%мя ч, Ялея №0я Ял3ч=вя л=С=! %Ж%С, чеЖ%ЛЯ =ССендэк2%м, , эя п С, ЯҺн=я 2eэн, к=я , я 2=к2, к=я л=С=! %Ж%С, чеЖ%ЛЯ =ССендэк2%м, , , я включ=яя %ЯЖенн%Я, я л, г, ! %б=н, яя К / же, к, я , я к3ль2, я че! ве%К =н%а%я %д! %Як=,я ЯҺн=ц, , я К юшн%ЛЯ С%н%Я, я, яд! эд, =тн%Я, чеЖ=яя 2%нн%Я,я %П%ф жнен, я,я дл, 2ельн%Я н=э%кден, яя вя Яд=ц, %н= е,я %К , Ля эк%н%м, чеЖ, Ля эффеК2я С , я л=С=! %Ж%С, чеЖ%мяме2%дялечен, яя мее2яЯВ? еЯвенн/ еяС! е, м3? еЯВ=эю ! , веден=я%б , г, н=пн=яя кл=ЯЯ, ф, к=ц, яя %П%жнен, , я С , я л=С=! %Ж%С, чеЖ%ЛЯ =ССендэк2%м, , я , я %С, ЯҺн/ я С32, я , эя С ед3С ежден, яя л е2%яя м%жн%я Кезя %ЯК/ эя ф, н=нЯВ/ эя з=2! =2я ш, ! %к%я вned! , 2ья вя %К ээ, ! 3! г, чеЖ3юякл, нк3яЯяэлемен2= н/ мя2eэн, чеЖ, мя%Ян=? ен, емядляял=С=! %Ж%С, чеЖ%ЛЯ э, ! 3! г, , э

LAPAROSCOPIC APPENDECTOMY – TECHNICAL ASPECTS

**G.PIPIA, O. KVITSIANI, D. ABULADZE, M. KILADZE
M. CHARTOLANI, J. PKHALADZE**

Retrospective analysis of the results of treatment of 332 patients with primary diagnosis of acute appendicitis submitted to laparoscopic method of diagnosis and treatment including 180 cases of laparoscopic appendectomyare presented. Different techniques and tactics for laparoscopic appendectomy including peculiar techniques for mezoappendix control and apendicular stump ligationa, abdominal cavity washings and etc. are described. Diagnostic accuracy, complications, hospital stay, economic efficiancy in case of laparoscopic method of treatment has real advantage. Unique classifications of complications peculiar to laparoscopic appendectomy and ways for their prevention are presented.

The authors propose that laparoscopy should be considered as the method of choice in the treatment of patients with primary diagnosis of acute appendicitis. The method can be easily installed in any general surgical facility that is equipped with basic logistics for laparoscopy.

1. დისამინჯია კ., ფიფია ე., მაჭავარიანი შ. – შეცდომები და გართულებანი ქირურგიაში. პრაქტიკული სახელმძღვანელო, 1974წ.

2. Я. саллингеря Ю.И. и Тимошина А.И. – Я. к =С= %Ж%С, чеЯк=Яя =ССендэк2%м, яя (С =к2, чеЯк%ея ! Зк%в%д%В%т%э яя ед, ц, н=,я%93эЯ%Н%я

3. Я. Кригеря А.Э. и Ш. Зркалияя Э.И. и Погеновя А.А. и Р. ЖеКаевя К.Э. – Я. ж =С= %Ж%С, =Явд, =тн%В, кея%В! %т% =ССенд, ц, 2=эи, ! 3! г, я,я%8,я2000я%Н%я

4. Я. а. орисова А.Э. и К. евиная К. Э. – Я. в, де%енд%Ж%С, чеЯк, ея вмеш=2ель%В=я н=я %г=н=эя ж, в%2=я, я 3=К юш, нн%L%С%и%В, ,я Зк%в%д%В%т%я%В! =чеL,я2002э

5. Heinnzelmann M. Simmen H.P. Cummins A.S. – Laparoscopic appendectomy the new “gold standart” – Arch.surgery 1995.

6. Yao C.C. Lin C.S. Yang C.C. – lapar. appendectomy; Surg. Lapar. Endosc. Percut. Tech. 1999.

აბლომინალური ქირურგია

ოზონთერაპია აბლომინალურ ქირურგიაში

- ბ. ლომსაძე, პროფ. ბ. არჩვაძე,
- ვ. ლომსაძე, ბ. საჩაღელი

გორის ქირურგიული კლინიკა „იმედი“, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 კლინიკური საავადმყოფო

ოზონთერაპია – თანამედროვე არამედიკამენტური მკურნალობის მეთოდია, რომელიც ეფექტურად გამოიყენება მედიცინის სხვადასხვა დარგში. მას ახასიათებს გამოყენების სიმარტივე, მაღალი ეფექტურობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა. ამასთან, ოზონთერაპიას პრაქტიკულად არ გააჩნია გვერდითი მოვლენები. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ისე მედიკამენტებთან ერთად, რომელთან კომბინაციაში ახდენს ამ მედიკამენტების მოქმედების პოტენცირებას.

ოზონის, როგორც ჟანგბადის იზოტოპის აღმოჩენა XVIII საუკუნის ბოლოს მოხდა. 1785 წელს, პოლანდიელმა ფიზიკოსმა, Van Marum, ჟანგბადში ელექტრული მუხტის გატარების დროს, ყურადღება მიაქცია უჩვეულო სუნს, რომელიც თან ახლდა ელექტრულ მანქანაში წარმოშობილ ნაპერწკლებს და მას „ელექტრული ნივთიერების სუნი“ დაარქვა. 1840 წელს, შვეიცარიელმა მეცნიერმა, Schonbein აღმოაჩინა, რომ წყლის ელექტროლიზის დროს გამოყოფილი ჟანგბადი და ჟანგბადი, რომელშიც ელექტრულ მუხტებს ატარებდა, იცვლიდა თვისებებს. Schonbein ეს მოვლენა განსაკუთრებული აირის გამოყოფას დაუკავშირა და მას ოზონი დაარქვა (ბერძნულიდან „ozein“ – „სუნისანი“). მოგვიანებით Delarive-მ და Mariniak-მა დაამტკიცეს, რომ ოზონი ჟანგბადის ალოტროპული ფორმაა. 1848 წელს, Hant-მა გამოთქვა მოსაზრება, რომ ოზონი სამატომიან ჟანგბადს წარმოადგენდა. 1873 წელს, Foke-მ შეამჩნია მიკროორგანიზმების დაღუპვა ოზონის ზემოქმედების შედეგად. 1896 წელს, გამომგონებელმა Tesla-მ ოზონის პირველი გენერატორი დააპატენტა.

1911 წელს M. Eberhart იყენებდა ოზონს ტუბერკულოზის, ანემიის, პნევმონიის, დიაბეტისა და სხვა დაავადებების სამკურნალოდ. პირველი მსოფლიო ომის დროს, Wolff იყენებდა ჟანგბად-ოზონის ნარევს როგორც ადგილობრივ სამკურნალო საშუალებას რთული მოტეხილობების, ჩირქოვანი ჭრილობების, ნაწოლების, აბსცესების, ფლეგმონებისა და ოსტეომიელიტების დროს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ოზონის სამკურნალო თვისებების შესწავლა რამდენიმე ათწლეულით შეჩერდა, რაც აიხსნება ანტიბიოტიკების აღმოჩენით, კომპაქტური ოზონის გენერატორებისა და ოზონგამძლე მასალების არარსებობით.

70-ნი წლების დასაწყისში ნათელი გახდა, რომ ანტიბიოტიკები სრულად ვერ წყვეტენ ჩირქოვან-სეპტიკური დაავადებების პრობლემას. ამ ფაქტის აღიარებამ ბიძგი მისცა ოზონთერაპიის მეთოდების დახვეწას ახალ სამეცნიერო-ტექნიკურ დონეზე.

ამჟამად, ოზონთერაპია ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით გერმანიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, იტალიაში, რუსეთსა და კუბაში. 1979 წელს დაარსდა ოზონთერაპევტების საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოება. ჩატარდა 12 საერთაშორისო კონგრესი ოზონთერაპიაში, გამოცემულია პრაქტიკული სახელმძღვანელოები [4].

სადღეისოდ, ოზონთერაპია გამოიყენება ქირურგიაში, თერაპიაში, გინეკოლოგიაში, დერმატოლოგიაში, სტომატოლოგიაში, რენიმატოლოგიაში, ონკოლოგიაში, კოსმეტოლოგიაში, ინფექციური და ვენერული დაავადებების სამკურნალოდ.

რას წარმოადგენს ოზონი?

ოზონი – O_3 ჟანგბადის ალოტროპული ფორმაა. ის ბევრად უფრო ძლიერი დამჟანგავია, ვიდრე თვითონ ჟანგბადი და წარმოადგენს მძაფრ, დამახასიათებელი სუნის მქონე აირს. ოზონის გამოყენება დაფუძნებულია მის დამჟანგავ, მადეზინფიცირებელ და ბაქტერიციდულ თვისებებზე [2]. ოზონთერაპიის პათოგენეტიკური ეფექტი განპირობებულია ოზონის მაღალი დამჟანგავ-აღდგენითი პოტენციალით, რაც უზრუნველყოფს მისი მოქმედების ორმაგ მექანიზმს:

I. ლოკალური: დეზინფექციური აქტივობა ბაქტერიების, ვირუსებისა და სოკოების მიმართ, რაც დაკავშირებულია მათი გარსის მთლიანობის დარღვევასთან ფოსფოლიპიდების და ლიპოპროტეიდების დაჟანგვის, პოლიპეპტიდების ჯაჭვებისა და პროტეინების დაზიანების შედეგად.

II. სისტემური: მეტაბოლური მოქმედება პლაზმის ცილოვან-ლიპიდური კომპლექსების მიმართ, რაც იწვევს PO_2 -ის მომატებას, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სტიმულირებას, იმუნურ-კომპეტენტური უჯრედების აქტიურობის გაძლიერებას, სისხლის რეოლოგიური თვისებებისა და ჟანგბადის ტრანსპორტირების ფუნქციის გაუმჯობესებას.

თერაპიულ დოზებში ოზონი მოქმედებს როგორც იმუნომასტიმულატორი, ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული, ფუნგიციდური, ანტივირუსული, ციტოსტატიკური, ანტიისტრესული და ანალგეტიკური საშუალება [3,5].

აღნიშნული გარემოება საშუალებას გვაძლევს წარმატებულად გამოვიყენოთ ოზონთერაპია მუცლის ღრუს ინფექციურ-ჩირქოვანი პროცესების დროს.

დღეისათვის არსებობს ოზონის გამოყენების შემდეგი მეთოდები:

- ოზონის აირის სახით გარეგანი გამოყენება.
- ოზონ-ჟანგბადის ნარევის აირის სახით რექტალური ინსუფლაცია.
- ოზონირებული ზეთების ადგილობრივი გამოყენება.
- ოზონირებული წყლის ენტერალური გამოყენება.
- დიდი და მცირე აუტოჰემოთერაპია ოზონ-ჟანგბადის ნარევის გამოყენებით.
- მუცლის ღრუს ინტრაოპერაციული სანაცია ოზონშემცველი ხსნარებით.
- პერიტონეული ლაგაჟი და დიალიზი ოზონშემცველი ხსნარებით.
- ოზონირებული ფიზიოლოგიური ხსნარის ინტრავენური ინფუზიები.

ოზონის ტოქსიკურობა ძირითადად განპირობებულია მისი ზემოქმედებით სასუნთქ გზებზე. ამიტომაც, ოზონთერაპიის ინჰალაციური მეთოდები, რომლებიც 60-70 წწ. გამოიყენებოდა, ამჟამად პრაქტიკიდან ამოღებულია [1].

ოზონთერაპიისათვის უკუჩვენებებს წარმოადგენს: 1) ჰიპერთირეოზი; 2) სისხლის შედედების უნარის დაქვეითება; 3) მწვავე პანკრეატიტი; 4) მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი; 5) ჰემორაგიული ინსულტი; 6) სისხლდენა; 7) მწვავე ალკოჰოლური ფსიქოზი; 8) ინდივიდუალური ჰიპერ-მგრძობელობა ოზონის მიმართ.

ოზონთერაპიაში ძირითადად გამოიყენება ოზონ-ჟანგბადის ნარევი. ოზონის კონცენტრაციის მაჩვენებლები ოზონ-ჟანგბადის ნარევიში, როგორც წესი, მითითებულია შემდეგ საზომ ერთეულებში: 1 მკგ/მლ=1 მგ/ლ=1000 მკგ/ლ=1გ/მ³=1 გ (გამმა).

გორის ქირურგიული კლინიკის „იმედის“ ბაზაზე არსებული რუსული წარმოების ოზონატორ „ $B=3$ “ ტის მეშვეობით ოზონთერაპია გამოიყენება ჩირქოვან-სეპტიკური პროცესების პროფილაქტიკასა და მკურნალობაში, შემდეგი მეთოდებით:

1. ოზონირებული ფიზიოლოგიური ხსნარის ინტრავენური ინფუზიები;
2. მუცლის ღრუს ინტრაოპერაციული სანაცია ფურაცილინის ოზონირებული ხსნარით;
3. ოპერაციის შემდგომი პერიტონეული ლაგაჟი და დიალიზი ოზონირებული ხსნარებით;
4. მცირე და დიდი აუტოჰემოთერაპია ოზონ-ჟანგბადის ნარევის გამოყენებით.

გავრცელებული პერიტონიტების დროს გამოიყენება ოთხივე მეთოდის კომბინაცია. მუცლის ღრუს სანაციისათვის ჩვენ ვიყენებთ 5-10 ლ. ფურაცილინის ოზონირებულ ხსნარს (ოზონის კონცენტრაცია – 4000-6000 მკგ/ლ). მუცლის ღრუს გამორეცხვა ხორციელდება 20-40 წუთის განმავლობაში, უშუალოდ პერიტონიტის მიზეზის ლიკვიდაციისთანავე. ინტრაოპერაციული სანაცია ტარდება ერთჯერადად. ლაპაროტომიას ვასრულებთ მუცლის ღრუს დრენირებით,

ოპერაციის შემდგომი პერიტონეული ლავაჟისა და დიალიზის ჩასატარებლად. პერიტონეული ლავაჟის პირველი სეანსი ტარდება ოპერაციის დასრულებიდან 4-6 საათის შემდეგ, რისთვისაც ვიყენებთ 500-1000 მლ ფურაცლინის ოზონირებულ თბილ ხსნარს. პერიტონეული ლავაჟი სრულდება მუცლის ღრუში 2 ლ. ოზონ-ჟანგბადის ნარევის შეყვანით, აირის სახით (ოზონის კონცენტრაცია – 1000-2000 მკგ/ლ). ამის შემდეგ, 3-5 საათის განმავლობაში, მუცლის ღრუში წვეთოვნად შეგვყავს ოზონირებული ფიზიოლოგიური ხსნარი. ყოველ 1000 მლ ოზონირებულ ფიზიოლოგიურ ხსნარს ვუმატებთ 5, 6 გ. ნატრიუმის ლაქტატს, 0, 26 გ. კალციუმის ქლორიდს და 0, 15 გ. მაგნიუმის ქლორიდს. მკურნალობის ციკლს ვიმეორებთ კიდევ 2-ჯერ, 4-6 საათის და 10-12 საათის შემდეგ. პერიტონეული ლავაჟი და პერიტონეული დიალიზი საშუალოდ 72 საათს გრძელდება.

ინტრავენურ ინფუზიებს ვატარებთ 200 მლ ოზონირებული ფიზიოლოგიური ხსნარით, ოზონის კონცენტრაციით 25 მკგ/კგ წონაზე. ორი გადასხმა კეთდება ზედიზედ, დღეში ერთხელ, შემდეგ კი – დღეგამოშვებით, სისხლის შედედების დროის კონტროლის ქვეშ (საშუალოდ – 5-8 ინფუზია).

ოზონთერაპიის ეფექტურობის გამოსავლენად, ჩავატარებთ კლინიკური დაკვირვება პაციენტთა 2 ჯგუფზე. პირველ ჯგუფში ჩავრთებთ პაციენტები, ოპერირებულები სხვადასხვა გენეზის გავრცელებული პერიტონიტის გამო, მკურნალობის ტრადიციული მეთოდებით: ინფექციის კერის ლიკვიდაცია, მუცლის ღრუს სანაცია და დრენირება, მასიური ანტიბიოტიკოთერაპია, წყალ-ელექტროლიტური ბალანსის კორექცია, იმუნომასტიმულატორული თერაპია. მეორე ჯგუფს შეადგენდნენ ანალოგიური დაავადებებისა და სიმძიმის პათოლოგიური პროცესების მქონე პაციენტები, რომლებსაც, ტრადიციული მკურნალობის გარდა, ოზონთერაპიაც უტარდებოდათ. კერძოდ: მუცლის ღრუს ინტრაოპერაციული სანაცია და პერიტონეული ლავაჟი ფურაცლინის ოზონირებული ხსნარით, პერიტონეული დიალიზი ოზონირებული ფიზიოლოგიური ხსნარით, აუტოჰემოთერაპია ოზონ-ჟანგბადის ნარევის გამოყენებით, ოზონირებული ფიზიოლოგიური ხსნარის ინტრავენური ინფუზიები.

აღსანიშნავია, რომ კლინიკური დაკვირვებისათვის ორივე ჯგუფში ავარჩიეთ ის პაციენტები, რომლებსაც ჩაუტარდათ ლაპაროტომია უკვეარსებული გავრცელებული პერიტონიტის პირობებში, ე. ი. ოპერაციის შემდგომი ჩირქოვანი გართულებების მაღალი ალბათობით.

ოზონთერაპიის გამოყენებისას უკეთესი შედეგები მივიღეთ, ვიდრე პერიტონიტის ტრადიციული მეთოდებით მკურნალობისას, როგორც ცალკე აღებული დაავადებების შემთხვევაში, ისე შემადგამებელ მახვენებლებში.

106 პაციენტისაგან შემდგარ პირველ ჯგუფში, პერიტონიტის მოვლენების გაგრძელებისა და ნაწლავთაშორისი აბსცესების ჩამოყალიბების გამო, 18 პაციენტს ჩაუტარდა 22 რელაპაროტომია (20, 7%).

მეორე ჯგუფში, რომელიც 119 პაციენტისაგან შედგებოდა, ამავე გართულებების გამო, ჩატარებულია 9 რელაპაროტომია, თანაც რერელაპაროტომია არც ერთ პაციენტს არ დასჭირვებია (იხ. ცხრილი).

ამრიგად, ჩირქოვან-სეპტიკური პროცესების მკურნალობისას უფრო ეფექტურია ოზონთერაპიისა და ტრადიციული მეთოდების კომბინირებული გამოყენება. ოზონთერაპია მნიშვნელოვნად ამცირებს ოპერაციის შემდგომი ჩირქოვანი გართულებების განვითარების რისკს, აფერხებს პათოლოგიური პროცესის გენერალიზაციასა და ხელს უწყობს რელაპაროტომიების რიცხვისა და სიკვდილიანობის შემცირებას.

**n g n m n Te P A o h c я A a d n l h m A k Ы m n i я
u h Pr P c h h я**

**я
я
с ж к n l C A d g e и ю p n t э а э А Р Ч б A d g e и
b ж к n l C A d g e и с э с А Ч А к e k h я**

**я
Клиника «Ж меди» и «ори»; клиническая Жольница Я Г с l r я l 1 и
г э Г К и л и с и я**

я
n з % н % е ! = с , я я я в л я е 2 я я н % / м я н е м е д , к = м е н 2 % в н / м я м е 2 % д % м я л е ч е н , я э я п н = я % л , ч = 2 я я
C % ж 2 % д л я C , м е н е н , я , я в / Я % к % л я э ф ф е к 2 , в н % ж 2 % ю , я э к % н % м , ч е Я % л я ц е л е Я % ж 2 % л = н % ж 2 % ю , я
C = к 2 , ч е Я , я 2 я б 2 я в , е м я с % ж 2 % н / э я ф ф е к 2 % ж ; я м % ж е 2 я , Я с % т ь 3 % ж = 2 я Я я ж = к я Я м % ж 2 % я 2 е л ь н % г я 2 = к я , я в я
к % м К , н = ц , , я Я м е д , к = м е н 2 = м , , я с 2 е н ц , ! 3 я , э я д е л я в , е я б я 2 e ! = с е в 2 , ч е Я , э я д % ж = э я % ж % я д е л я в 3 e 2 я

к=кя , ммЗн%Д, мЗл, ! Зю? ее,я С %2, в%в%ЖС=л, Зельн%е,я К=к2е! , ц, дн%е,я фЗнг, ц, дн%е,я С %2, в%в, ! ЗЯн%е,я, 2%Д=2, чеЯк%е,я=н2, Я! еЯФв%ея, ян=льгез, ! Зю? ееЯ едЯВ%я
 б я я э, ! 3! г, чеЯк%Дя кл, н, кея «н мед, »я гз с %б , я дляя %б%н%2е! =С, , я , ЯС%б%ь3е2Яя %б%н=2% я ! %Я ЛЯк%т%яС %зв%дЯВ=я«j в=» »эп з%няС , менялЯявяЯедЗю? , эяв=, =н2=:яНядляЯн=ц, , я К юшн%ДяС%б%Д, ;я2)ядляявн32! , венн/ эя, нфЗз, Л;я3)яС , яС %веден, , яя=32%тем%2е! =С, , эя j л, н, чеЯк, ея н=Клюден, яя н=дя 225я С=ц, ен2=м, я С%к=л, я ч2%я С , я лечен, , я Се! , 2%н, 2%вя к%мК, н, ! %в=нн%еяС , менен, ея%б%н%2е! =С, , я, я2! =ц, ц, %нн/ эяме2%д%вязн=ч, Зельн%яЗменьш=е2я ! , Якя ! =в, 2, яя С%Япе%Се! =ц, %нн/ эя гн%Дн/ эя %Яп%жнен, Л,я С ед%2в! =? =е2я гене! =л, з=ц, юя С=2%б%а, чеЯк%т%яС %деЯЯя, ,яЯед%в=Зельн%яЯС%Я%к%ДВ3е2яЯ%к! =? ен, юяч, Яп=я! ел=С=! %2%м, Ля, я Ян, жен, юяЯме! 2н%Д, эя

OZONOTHERAPY IN THE ABDOMINAL SURGERY

G. LOMSADZE, B. ARCHVADZE,
 V. LOMSADZE, G. SACHALELI

Ozonotherapy is up-to-date nonmedicamental method of treatments distinguished by simplicity of application, high efficiency, economic expediency and practically by the absence of side effects. Ozonotherapy can be used independently, as well as in combination with medicines, in case of which it stimulates better action of applied medicines.

Ozone, the gas with typical smell, is an alotropic form of oxygen and is much more oxidizer, than oxygen. Application of ozone is based on its oxidizer, disinfectant and bactericide properties.

